



COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

ჰელმუტ იოჰანეს ვოლმერი

ენობრივი განათლების ზოგადევროპული ინსტრუმენტი

წინასწარი კვლევა

განათლების ენები

Language Policy Division, Strasbourg

ენობრივი პოლიტიკის განყოფილება, სტრასბურგი

Language Policy Division
DG IV – Directorate of School, Out-of-School and Higher Education
Council of Europe, Strasbourg
enobrivi politikis ganyofileba
IV gany. - evropis sabWos skolis, skolis Semdgomi da umaRlesi ganaTlebis
direqtorati, strasburgi

www.coe.int/lang

ნაშრომი ითარგმნა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილებისა და „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორის ურთიერთობების ცენტრის“ ერთობლივი პროექტის („კონცეპტუალური მასალის თარგმნა მულტილინგუური სწავლების ხელშესაწყობად“) ფარგლებში.

თარგმანი მერაბ ბაბუხაიძისი

რედაქტორი: ქეთევან ბონიტაშვილი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომა არ წარმოადგენს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ნაშრომის თარგმანი შეთანხმებულია ევროპის საბჭოს სკოლის, სკოლის შემდგომი და უმაღლესი განათლების დირექტორატთან (F-67075 სტრასბურგი CEDEX).

კვლევის ხელახალი გამოცემა ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისათვის და წყაროში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით.

© ევროპის საბჭო, 2003

© გამომცემლობა „საიმილო“, 2008

გამომცემლობა „საიმილო“
თბილისი, 2008

ენობრივი განათლების ზოგადეპროკუული ინსტრუმენტი

ჰელმუტ იოჰანეს ვოლმერი,
ოსნაბრუკის უნივერსიტეტი

მთავრობათშორისი კონფერენცია

სასკოლო ენა: ევროპის საერთო პროგრამისაკენ
სტრასბურგი, 16-18 ოქტომბერი, 2006

შინაარსი

1. ენობრივი პოლიტიკა, როგორც სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი	5
2. მრავალენოვნება და მრავალენოვანი განათლება	8
3. ენობრივ განათლებაზე ორიენტირება	11
4. ენობრივი განათლების ახალი ინსტრუმენტის ფარგლები	13
5. ენობრივი განათლების ევროპული ინსტრუმენტის მიზანი	16
6. ენობრივი განათლების სტრუქტურის შესაძლო შინაარსი	19
7. ენობრივი განათლების ინსტრუმენტის სტრუქტურა და ფუნქცია	23
8. პერსპექტივები	26
9. რეზიუმე	26

1. ენობრივი პოლიტიკა, როგორც სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი

ევროპა მრავალენოვანი და მულტიკულტურული რეალობაა. ეს არის სივრცე, რომელშიც არსებობენ სხვადასხვა ენები და ერთმანეთის გვერდიგვერდ მრავალ ენაზე მეტყველებენ: უმრავლეს შემთხვევაში – მშობლიურ ენაზე, რომელიც კომუნიკაციის ძირითად ენად არის მიჩნეული, აგრეთვე მეორე ან მესამე ენებზე – დანარჩენ შემთხვევებში, უმცირესობებისთვის და მიგრანტებისთვის, რომლებიც მათთვის იდენტობის ენებს წარმოადგენს. ყველა ამ ენას აქვს არსებობისა და განვითარების უფლება წარმატებული და აყვავებული ევროპის ფარგლებში. ეს ეხება ყველა ენას – მშობლიური ენისა და სასკოლო ენების ჩათვლით. ამ უამრავ ენობრივ სახესხვაობასთან ერთად, უდიდეს კულტურულ მრავალფეროვნებას ვაწყდებით ჩვენს კონტინენტზე. ეს თეზა ვრცელდება ევროპის საბჭოს თითქმის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის: ფაქტობრივად, ენობრივი პლურალიზმი და კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი თანამედროვე საზოგადოებების საფუძველია. ეს არის ევროპელების ყოველდღიური გამოცდილება, რაც წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს ინდივიდებისათვის და აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების პროცესებისათვის.

მოცემულ მრავალენოვან და მულტიკულტურულ რეალობაში ევროპის მოქალაქეებს ესაჭიროებათ მრავალენოვნება. ეს ნიშნავს, რომ თითოეული ინდივიდი უფლებამოსილია, გამოიყენოს ერთზე მეტი ენა კომუნიკაციისათვის და მას ამის შესაძლებლობა უნდა მიეცეს: პიროვნული გამოხატვისათვის, სამსახურისათვის, დასვენებისათვის, პროფესიული გამოყენებისათვის, მობილურობისათვის, სოციალური კონტაქტებისა და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისათვის; მოკლედ – ბედნიერი და რეალიზებული ცხოვრებისათვის, რათა თავი იგრძნოს, როგორც სრულფასოვანმა პიროვნებამ (მოქალაქემ) და

როგორც სოციალურმა არსებამ. ევროპაში განათლების სისტემის ნებისმიერი რგოლი – კერძოდ, სკოლა, როგორც ჩვენი თანამედროვე საზოგადოებების ბირთვი - საჭიროებს ახალგაზრდა თაობის სათანადოდ მომზადებას, რათა ისინი გახდნენ სოციალური მოღვაწეები და, როგორც ასეთი, მონაწილეობა მიიღონ ახალი ევროპის ერთობლივ ფორმირებაში. ენობრივი პოლიტიკისთვის ეფექტი იმავდროულად თვითგანვითარება და დემოკრატიული მოქალაქეობის უფლებამოსილების პოლიტიკაა, ინდივიდებისა და საზოგადოებების სოციალური დატვირთვა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპის საბჭო ცალსახად განიხილავს ენობრივ განათლებას, როგორც უფრო დიდი სოციალური პოლიტიკის ნაწილს. კერძოდ, მუდმივად აქცენტირებული იყო სოციალური ჩართვის მნიშვნელობა. განათლების ენების ახალი ინსტრუმენტის, როგორც მთლიანობის შემუშავება, ამგვარად იქნებოდა ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის შემდგომი რეალიზება, რომელიც უკვე ასახულია რამდენიმე დოკუმენტში და ინსტრუმენტში, როგორცაა ენათა საერთო საბაზო ევროპული პროგრამა, ევროპული ენის პორტფოლიო (ორივე ორიენტირებულია „თანამედროვე“ უცხო ენებზე), სახელმძღვანელოში „ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში“ და ენობრივი პოლიტიკის პროფილების შექმნის აქტივობებში, რომლებიც ტარდება (მრავალი მათგანი) წვერი სახელმწიფოების დასახმარებლად. ეს ყოველივე დაფუძნებულია იმის რწმენაზე, რომ ენობრივი განათლების პოლიტიკა შეუძლებელია იზოლირებული იყოს სოციალური პოლიტიკისაგან. ცენტრალური ფასეულობები და პრინციპები, რომლებიც ევროპის საბჭოს მიერ შემუშავდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, შესაძლებელია შეჯამდეს მოკლე პოლიტიკური განაცხადის სახით:

ევროპის საბჭოს ენობრივი ბანათლების პოლიტიკის მიზნები:

მრავალენოვნება: ყველა უფლებამოსილია განივითაროს კომუნიკაციის უნარის გარკვეული დონე რამდენიმე ენაში მთელი ცხოვრების მანძილზე და თავიანთი მოთხოვნილებების შესაბამისად;

ენობრივი მრავალფეროვნება: ევროპა არის მრავალენოვანი; მისი ყველა ენა კომუნიკაციისა და იდენტობის გამოხატვის თანაბრად მნიშვნელოვანი საშუალებაა; უფლება, გამოიყენო და ისწავლო ესა თუ ის ენა (ენები), დაცულია ევროპის საბჭოს კონვენციებით;

ურთიერთგაგება: შესაძლებლობა, ისწავლო სხვა ენები, მეტად მნიშვნელოვანია კულტურული კომუნიკაციებისა და კულტურული განსხვავებების მიღებისათვის;

დემოკრატიული მოქალაქეობა: მრავალენოვან საზოგადოებებში დემოკრატიულ და სოციალურ პროცესებში მონაწილეობა გაიოლებულია ინდივიდთა მრავალენოვანი კომპეტენციით;

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა: სწავლის სტრატეგიებისა და სწავლის უნარების განვითარება, რაც სწავლის პროცესს ხელს შეუწყობს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის გაგრძელებისათვის;

სოციალური ერთიანობა: პერსონალური განვითარების შესაძლებლობის თანასწორობა, განათლება, მობილურობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კულტურული გამდიდრება დამოკიდებულია მთელი ცხოვრების მანძილზე ენის სწავლის ხელმისაწვდომობაზე.

ეს პრინციპები ნაჩვენებია, მაგალითად, 2005 წლის ვარშავის დეკლარაციაში და შესაბამისი მოქმედების გეგმაში, რომელიც იმავე დღეს მიიღეს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო და სამთავრობო მეთაურებმა; ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია ბუნებრივად.

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ერთი ასეთი პრინციპი, კერძოდ, *მრავალენოვნება* (cf. the *Guide for the Development of Language Education Policies in Europe: From Linguistic Diversity to Plurilingual Education*, Draft 1 rev; Beacco & Byram, 2003).

2. მრავალენოვნება და მრავალენოვანი ბანათლება

მრავალენოვნება წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრულია (ისევე, როგორც *ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები*ში (CEFR) შემდეგნაირად:

„(მრავალენოვნება) არის უნარი, გამოიყენო ენები კომუნიკაციის მიზნით და მონაწილეობა მიიღო კულტურათშორის ურთიერთობებში, სადაც პიროვნება, რომელიც მიჩნეულია სოციალურ აგენტად, ფლობს სხვადასხვა ენას გარკვეულ დონეზე და სხვადასხვა კულტურაში აქვს გამოცდილება. ეს არ მიაჩნიათ ცალკე კომპეტენციების შეთავსებად ან შეპირისპირებად, არამედ კომპლექსური ან თუნდაც ერთიანი კომპეტენციების არსებობად, რომლის საფუძველზე შესაძლებელია იმოქმედოს მომხმარებელმა“ (ევროპის საბჭო, 2001: 168).

ენობრივი განათლების პოლიტიკა უნდა ასახავდეს ყველა ევროპელის უფლებამოსილებას, შეიძინოს კომუნიკაციური უნარის გარკვეული დონე რამდენიმე ენაში მთელი ცხოვრების მანძილზე მათი საჭიროებების მიხედვით. მრავალენოვნება მიჩნეულია შესაძლებლად და პრაქტიკულად, სწავლისა და ერთზე მეტი ენის გამოყენების შინაგანი ადამიანური უნარის კონკრეტულ გამოხატულებად. თუმცა, გახდეთ მრავალენოვანი – ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე ერთი ან მეორე (უცხო) ენის დამატება ენობრივ რეპერტუარში (პირველად შეძენილ ან სასკოლო ენობრივ განათლებაზე დაყრდნობით). ამავე დროს, ეს ნიშნავს, გაერკვე ენობრივ მრავალფეროვნებასა და ენობრივ

განსხვავებებში. უფრო მეტიც, მრავალენოვნებას მიყვავართ იმის გაცნობიერებისკენ, რომ ენა აფიქრებს და ახალი ენობრივი გამოცდილებებით ზრდის შეფასებისა და თვითგანსჯის უნარებს. გახდეთ მრავალენოვანი – ნიშნავს, რომ, როგორც ინდივიდმა, ყველანაირი ენობრივი გამოცდილება, რომელიც გაგანჩიათ გარკვეულ ეტაპზე, დროში გააერთიანოთ ერთ მთლიან (ჰოლისტიკურ) კომპეტენციად და დაუკავშიროთ სხვადასხვა ენასა და ენობრივ კომპონენტებს, რომლებიც ნასწავლია ერთ ენობრივ რეპერტუარში (მიუხედავად მათი ცოდნის დონისა, შექცენილი იყო თუ არა ეს ენები, რისთვის გამოიყენებოდა ისინი და რა სტატუსი აქვთ მათ საზოგადოებაში).

ამის გამო, მრავალენოვნება არის არა იმდენად *კომპეტენცია*, რამდენადაც *გამოყენების პროცესი* და *ენის ინტეგრირება*, *ცხოვრებისა და სწავლის ცენტრალური ფუნქცია*. მრავალენოვნება შესაძლებელია განვიხილოთ დამოკიდებულებადაც და კომუნიკაციის მეთოდად მრავალენოვან და მულტიკულტურულ გარემოში. ამ ფართო გაგებით, მრავალენოვნება სცდება მრავალწახნაგოვან ლინგვისტურ კომპეტენციას, ის, მისი არსიდან გამომდინარე, მოიცავს კულტურათშორის კომპეტენციას: კომუნიკაციის სოციალური აგენტობა და წარმატებით ურთიერთობის უნარი მულტიკულტურულ და მრავალენოვან (ეროვნულ და ევროპულ) გარემოში.

ენობრივი განათლება არის *ზოგადი*, ხოლო მრავალენოვანი განათლება *კონკრეტულად* არის უფრო მეტი, ვიდრე სკოლაში ენების, საგნების სახით, ოფიციალური განათლების სხვადასხვა დონეზე (ე. წ. მშობლიური ენა, როგორც მეორე ენა ან როგორც უცხო ენა) სწავლა. ის უფრო ნიშნავს ენის (ენების) ხელახალ გადააზრებას ჩვენს ცხოვრებაში, ენის (ენების) და ენის გამოყენების ინტეგრირებული თვალსაზრისის შექმნას; მოლაპარაკებებში აქტიურ მონაწილეობასა და ევროპის მომავლის ფორმირებას ენაზე დაფუძნებული უნარების მეშვეობით. მრავალენოვანი განათლება, ისე, როგორც აქ არის განხილული, ევროპის სოციალური განვითარების ცენტრალური საკითხია: იმის უზრუნველყოფა, რომ ევროპულმა მრავალ-

ფეროვნებამ დაშლამდე ან ნებისმიერი ინდივიდისა თუ ჯგუფის სოციალურ გამოთიშვამდე კი არ მიგვიყვანოს, არამედ ცალსახად ცნოს (და უნდა დააფასოს კიდევც!) მრავალფეროვნება, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს გამდიდრებისა და იდენტურობის მასაზრდოებელი წყარო როგორც აზრობრივად, ისე ქცევასა და ევროპელთა ურთიერთობაში.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება კიდევ ერთხელ უნდა გამახვილდეს ზემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალის ბოლო ელემენტზე, კერძოდ, სოციალური ერთიანობისათვის სოციალური ჩართულობის მნიშვნელობაზე. განათლების ენის (ენების) განხილვა შესაძლოა ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს იმ შემსწავლელთა გამოცდილების საპასუხოდ, რომლებიც ამ ენასა თუ ენებში ვერ იღებენ კომპეტენციის დამაკმაყოფილებელ დონეებს და რომლებსაც, შესაბამისად, ექმნებათ პრობლემები, რადგანაც საზოგადოებაში არ არიან (აღეკვატურად) ჩართულები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ენების ცოდნის გარეშე შემსწავლელები ვერ შეიძენენ ხარისხს, კომპეტენციებსა და კვალიფიკაციას, რაც გადამწყვეტია საზოგადოების სრულფასოვანი წევრობისათვის. ყველაზე დიდი რისკის ქვეშ შემსწავლელები არიან, რომლებიც „უქონელნი - ღარიბები“ არიან იმის გამო, რომ ისინი სახლში ან პირველი სოციალიზაციისას ვერ დაეუფლნენ იმავე ენებს ან ენობრივ სახესხვაობებს, რომლებსაც იყენებენ სკოლაში სწავლისთვის ან ცხოვრებაში. არსებობს ასეთი „უქონელი“ შემსწავლელების ორი ძირითადი ჯგუფი:

- ემიგრანტები ან ემიგრანტების შვილები ცოდნის დაბალი დონით¹;

¹ გერმანიაში ამასწინანდელმა ფართომასშტაბიანმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ეს ემიგრანტი მოსწავლეები, *ბავშვები ორენოვანი საოჯახო ისტორიით*, სადაც მხოლოდ მშობლებიდან ერთ-ერთი მოდის განსხვავებული კულტურულ-ლინგვისტური გარემოდან თავს ართმევს უაღრესად კარგად არა მხოლოდ ინგლისურს, როგორც მეორე ენას, არამედ სასკოლო განათლების ენასაც, კერძოდ, გერმანულს ამ შემთხვევაში (cf. DESI, www.desi.de).

- დაბალი სოციალური სტატუსის სხვა ბავშვები, რომელთაც აკლიათ საგანმანათლებლო დახმარება სახლში / ოჯახებში, მიუხედავად მათი წარმოშობისა (სასკოლო განათლების ენაზე მკვიდრი მოლაპარაკების ჩათვლით).

შემსწავლელთა ეს ჯგუფები კონკრეტულად მიმართულნი უნდა იყვნენ ახალ პერსპექტივაში - და თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა იაქტიუროს მათი სპეციფიკური მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

3. ენობრივ განათლებაზე ორიენტირება

როგორც ენების ზოგადფეროპულ საბაზისო სახელმძღვანელოშია აღნიშნული, რომელიც უცხო ან მეორე ენის სწავლების პრინციპებს განიხილავს, ახალი ინსტრუმენტი ორიენტირებული უნდა იყოს როგორც განათლების ენაზე (ენებზე) სკოლაში, ასევე მის გარეთაც. ამ მიმართულებით საკმაოდ რთულია სათანადო ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენება, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, არსებული ენობრივი მრავალფეროვნების პირობებში, შეუძლებელია ვიხმაროთ ტერმინი „სახელმწიფო ენა“, „ოფიციალური ენა“ ან „მშობლიური ენა“ – თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ეს ტერმინები გამოიყენება მრავლობითში იმის დასაფიქსირებლად, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს გააჩნია რამდენიმე სახელმწიფო ენა ან ოფიციალური ენები და რომ ზოგიერთ შემსწავლელზე ერთზე მეტი მშობლიური ენა მოდის... ცხადია, რომ ხშირად ტერმინოლოგია ცალსახად რეალობის არაადეკვატურია. ზოგიერთ სახელმწიფოს არ გააჩნია ოფიციალური ენა, ზოგიერთში – ეროვნული ენის კონცეფცია არ არის ადეკვატური და ტერმინის – „მშობლიური ენის“ გამოყენება მოცემული ენისათვის (ენებისათვის) ნიშნავს იმ ფაქტის იგნორირებას, რომ ბევრი ბავშვისთვის

განათლების ენა (ენები) არის არა მშობლიური ენა, არამედ მეორე ან მესამე ენაა.

ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილება, ამის გამო, გვირჩევს, რომ გამოყენებული იყოს ტერმინი განათლების ენა (ენები) **(LE)**, რაც უნდა მოიცავდეს:

1. ენებს, რომლებიც სკოლაში ისწავლება, როგორც საგნები (ანუ ფრანგული – საფრანგეთში, რუმინული – რუმინეთში, ინგლისური – დიდ ბრიტანეთში): **ენა, როგორც საგანი (LS)**;
2. ენას, რომელიც გამოიყენება, როგორც მეთოდი სხვა საგნების ინსტრუქციისა და სწავლისათვის (სკოლებისთვის და ხანგრძლივი სწავლისთვის): **სასწავლო კურსის შემადგენელი ენები (LAC)**;
3. ენებს ინტეგრირებული სასწავლო კურსის ნაწილად, რომლებიც მოიცავენ ყველა ენებს, რაც შემსწავლელს შეხვდება; ანუ, მაგალითად, საფრანგეთში ფრანგული ოფიციალურ ენად შეიძლება ისწავლებოდეს, როგორც საგანი, არაბული, როგორც მათი ოჯახის ენა, ისწავლებოდეს, როგორც საგანი, ინგლისური და / ან გერმანული / ესპანური, როგორც უცხო ენა, ისწავლებოდეს როგორც საგანი **(FL)**: ენის სასწავლო კურსი, როგორც ერთი მთლიანობა **(LC)**.²

ახალი ინსტრუმენტის ორიენტირება შესაძლოა ხდებოდეს სასკოლო განათლების ენაზე, მაგრამ ის უნდა მოიცავდეს დაწყებითი სასკოლო ინსტიტუტების ან ოფიციალური შემდგომი განათლების დროის მონაკვეთის ან დე ფაქტო სავალდებულო განათლების ინსტიტუტების ენებსაც. ენობრივი განათლების პოლიტიკა უნდა განიხილებოდეს სოციალური პოლიტიკის კონტექსტში, და,

² ენის კურიკულუმის პოლისტიკური კონცეპტი ზრუნავს პლურილინგვალიზმის ასპექტებზე შემსწავლელებთან მიმართებით, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება კურიკულუმის დაგეგმვას.

შესაბამისად, ის იმ დროის მონაკვეთში მიმდინარეობს, როცა ყველა ბავშვი და ახალგაზრდა ადამიანი იყენებს განათლების ენას (ენებს) - ანუ - სავალდებულო სა-შაუალო სკოლის განმავლობაში - განათლების ენა ყვე-ლაზე მნიშვნელოვანია.

4. ენობრივი განათლების ახალი ინსტრუმენტის ფარგლები

როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს უკვე არსე-ბულზე ვრცელი პროგრამის მოთხოვნილება; კერძოდ, ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: სწავლა, სწავლება და შეფასება (CEFR). ეს პროგრამა მოამზადა ევროპის საბჭომ, რათა განესაზღვრა და აღეწერა უცხო ენების შესწავლა, მათი სწავლება და მისი შედეგების შე-ფასება - გამჭვირვალე და ევროპული სტანდარტების შესა-ბამისი გაეხადა, რათა უზრუნველყო საერთო საფუძველი ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. პროგრამა არ ავი-თარებს ევროპულ სასწავლო კურსს, არამედ გეთავაზობს მიზნობრივი განვითარების საერთო საფუძველს და აღწერს პროგრესს თითოეული სიტუაციის მოთხოვნების შესა-ბამისად და საერთო ორიენტირების გამოყენებით.

CEFR, რომელიც დაიბეჭდა მხოლოდ ხუთი წლის წინ, გავრცელდა სწრაფად და ახლა ფართოდ გამოიყენება პროფესიულ წრეებში მთელ ევროპასა და მის გარეთ, მა-შინ, როცა ამ დროს უფრო განვითარდა და გამდიდრდა მისი ხელშემწყობი ინსტრუმენტებითა და რეკომენდაციე-ბით. უცხო ენის მოცემული პროგრამის არსებობა უდავოდ დაგვეხმარება მრავალი პრობლემის დასაღვენად და გადასალახავად ახალი ინსტრუმენტის შექმნასთან დაკავშირებით. თუნდაც როგორც საბაზისო ჩარჩომ ახალი მეთოდის შესაქმნელად მან შესაძლებელია შეასრულოს მოდელის როლი.

ამ პერსპექტივამ უნდა შექმნას უფრო დეტალური შეხედულება ენობრივ განათლებაზე და კერძოდ, განათ-

ლების ენაზე (ენებზე). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ენობრივი განათლება მივიჩნიოთ მთლიანობად, კერძოდ, ენის, როგორც საგნისა (LS) და სასწავლო პროგრამაში ინსტრუმენტებად გამოყენებულ ენებს (LAC) შორის დამოკიდებულებად, აგრეთვე პირველი და მეორე (ან მესამე) ენის სწავლას შორისა და ერთენოვან და ორენოვან სწავლას შორის დამოკიდებულებად; ისევე, როგორც (არაოფიციალური) ენის შექმნა/კონტაქტის ყველა სხვა ტიპებსა და ფორმებს და (ფორმალური) ენის ინსტრუქტირებას შორის დამოკიდებულებად. ეს ელემენტები და დამოკიდებულებები შესაძლოა უფრო დეტალურად აღიწეროს შემდეგნაირად:

1. ახალი პროგრამა ძირითადად ორიენტირებული იქნება ენაზე, რომელიც პირველად გვხვდება ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორცაა სკოლამდელი, დაწყებითი სკოლა, საშუალო სკოლა ან საშუალო სკოლის ზედა საფეხური; ეს ენა, როგორც წესი, არის განათლების წამყვანი ენა (LE), ენა, რომელზეც სკოლა და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტები მოქმედებენ ყველა საგნის სფეროში. ეს ენა საგნად ისწავლება პირველივე დღიდან (LE): ეს საგარაუდოდ არის სკოლის ბავშვების უმრავლესობისათვის მშობლიური ენა, სადაც სხვათათვის (15% ან 20%-მდე – დამოკიდებულია სახელმწიფოზე ან რეგიონზე) იგი შეიძლება იყოს მათი მეორე ან მესამე ენა. ეს ენა პასუხისმგებელია ინდივიდების შემეცნებით, სოციალურ და პოზიტიურ განვითარებაზე; იგი შეადგენს ყველა დანარჩენი ენის შესწავლის საფუძველს და, ამდენად, პერსონალური განვითარების საფუძველია იდენტობის შექმნისთვის, ინფორმაციის შეფასებისთვის, ლიტერატურული და ესთეტიკური აღქმისათვის; აგრეთვე კომპეტენციის განვითარებისა და შემოქმედებითი გამოხატვისათვის.
2. დამატებით ამ ენის როგორც საგნის ცენტრალურ როლზე და ყოველივესთან, რასაც ის მოიცავს (ანუ ინტელექტუალურად და სოციალურად პიროვნების

ჩამოყალიბება), ახალი დოკუმენტი აგრეთვე უნდა ეხებოდეს ენობრივ განათლებასა და ენის სწავლას, რომელიც ყველა საგანშია ჩართული. ეს ლინგვისტური განზომილება უფრო დაფარულია ან მხოლოდ ნაწილობრივ დაფარულია და, ამის გამო, ხშირად სათანადოდ ვერ არის შეფასებული მისი მნიშვნელობა: მიუხედავად ამისა, სასწავლო კურსის ენა (LAC) შესაძლებელია გავიგოთ, როგორც LS-ის სტანდარტული ენობრივი სახესხვაობის განვრცობა აზროვნებისა და კომუნიკაციის საგნობრივ-სპეციფიკურ მეთოდებში ან ენის გამოყენების დისციპლინის მეთოდში. შესაძლებელია, ეს ზოგიერთ შემთხვევაში მიიჩნეოდეს მრავალენოვნების (პირველი) ფორმად, რომელიც აქ მოიაზრება, ენის ახალი სახესხვაობების გამოყენების დაუფლებად და ცოდნად ერთსა და იმავე ენაში.

3. ენობრივი განათლების დეტალური პროგრამა შესაძლოა შემდეგ განიხილავდეს იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობს აქამდე დადგენილ უცხო ენის სწავლასა ან რამდენიმე უცხო ენას შორის. კვლევიდან ვიცით, რომ პირველი უცხო ენის დაუფლება (FL1 ბავშვების უმრავლესობისათვის) გაივლის სხვადასხვა პროცესს და გვაძლევს განსხვავებულ შედეგებს, ვიდრე მეორე ან მესამე უცხო ენის დაუფლება (FL2, FL3 და მისთ). ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი, FL-ის დაუფლება სასარგებლო იყოს და რამდენად სარგებლობს „მშობლიური ენის განათლებით“ და პირიქით. ჩვენ აგრეთვე უნდა ვიკითხოთ, თუ რა კავშირები არსებობს და შესაძლებელია თუ არა დამყარდეს კომპეტენციულ, სტრატეგიულ ან დონეების მეთოდების სწავლება FL1-ისა და FL2-ის სწავლებას შორის, და აგრეთვე L1/LS-სა და LAC-ს შორის ან მესამე კლასის ენების შესწავლას (FL2, FL3 და მისთ) შორის. ამის მსგავსი კითხვები უნდა დაისვას ახალ დოკუმენტში.

4. საბოლოოდ, სკოლაში ერთზე მეტი სამუშაო ენის გამოყენება („ორენოვანი განათლება“, „სამენოვანი განათლება“) შესაძლოა და უნდა იყოს ჩართული და გაანალიზებული უფრო დიდ პროგრამაში, რადგანაც ეს არის ევროპაში ბავშვების მზარდი რიცხვის სწავლების რეალობა და შესაძლოა გეიხვენოს საგნობრივ-სპეციფიკური კომპეტენციის მნიშვნელოვანი მეთოდი. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ შინაარსზე ორიენტირებული ენის ინსტრუქციის (CBI) შესაძლებლობები და ფუნქციები და უფრო კონკრეტულად – ინტეგრირების შინაარსი და ენის მეთოდოლოგიური შესწავლა, რომელსაც შესაბამისად ეწოდება „საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული შესწავლა“ (CLIL).

5. ენობრივი განათლების ევროპული ინსტრუმენტის მიზანი

როგორც ადრე აღინიშნა, განათლების ენობრივი დოკუმენტის ძირითადი დანიშნულება ენების შესახებ დისკუსიისა და კომუნიკაციის გაიოლებაა ზოგადად განათლებასა და LS-ისა და LAC-ის სპეციფიკურ სფეროებში. ამ თვალსაზრისით, მას ექნება ისეთივე დანიშნულება, როგორც ენათა ფლობის ზოგადევროპულ კომპეტენციებს, რომელშიც აქცენტი კეთდება კომუნიკაციის მნიშვნელობაზე:

„ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები“ იძლევა ენის სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების, სახელმძღვანელოების (...) და მისთ. შემუშავების ზოგად საფუძველს. ენების საერთო ევროპული საბაზო პროგრამა მიზნად ისახავს, გადალახოს იმ პროფესიონალებს შორის არსებული კომუნიკაციის ბარიერი, ვინც თანამედროვე ენების

სფეროში მუშაობენ, და რომლებიც წარმოიშობა ევროპის სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში (...)

მიზნების, შინაარსისა და მეთოდების მკაფიო განსაზღვრისათვის საერთო საფუძვლის უზრუნველსაყოფად პროგრამა გაზრდის კურსების, სილაბუსებისა და კვალიფიკაციების გამჭვირვალობას, რითაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ენების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას. ენის ცოდნის აღწერისათვის ობიექტური კრიტერიუმის უზრუნველყოფა გააიოლებს იმ კვალიფიკაციების ორმხრივ აღიარებას, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში და, შესაბამისად, ევროპელებს მობილურობაში დაეხმარება.“ (ევროპის საბჭო, 2001:1).

ამ დოკუმენტში აქცენტს საერთაშორისო კომუნიკაციაზე უნდა დაემატოს სათანადო ყურადღება შიდა-ეროვნული კომუნიკაციას (LS), თანამედროვე უცხო ენების (FL) მასწავლებლებს / პროფესიონალებს და ყველა სხვა მასწავლებელს, რადგანაც ეს უკანასკნელნი ცალსახად იყენებენ ენას ინსტრუქციებისათვის (LAC და CLIL – საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლება).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომუნიკაციის საერთო საფუძველი, რომელიც შექმნილია CEFR-ში, შემოიფარგლა საკითხების განხილვით, მათ მიერ წამოჭრილი შესაბამისი კითხვების დასმით და ასახვის ფორმის რეკომენდებით და შესაძლო კომუნიკაციით. არც CEFR და არც აქ მოყვანილი ახალი დოკუმენტი მიზნად არ ისახავს წამოჭრილ კითხვებზე სრულყოფილი პასუხების გაცემას, რადგანაც CEFR-იდან შემდეგი ამონარიდი ადგენს:

კითხვების დასმის მაგალითები (ევროპის საბჭო, 2001: 145):

6. 4. 3. რა როლი უნდა ითამაშოს ტექსტებმა ენის სწავლასა და სწავლებაში?
6. 4. 3. 1. რამდენ შემსწავლელს უნდა მოველოდეთ ან მოეთხოვოთ ისწავლონ ზეპირი ან წერითი ტექსტიდან?
- ა) მარტივი მოქმედებით;
 - ბ) მარტივი მოქმედებით, მაგრამ იმის გარანტიით, რომ ახალი მასალა გასაგებია ვერბალური კონტექსტიდან, ვიზუალური დამხმარე მასალიდან და მისთ. ლოგიკურად მისახვედრი (...)
6. 4. 4. რა დონემდე უნდა მოველოდეთ ან მოეთხოვებათ შემსწავლელებს, ისწავლონ დავალებებიდან და აქტივობებით:
- ა) მარტივი მონაწილეობით სპონტანურ აქტივობებში?
 - ბ) მარტივი მონაწილეობით დავალებებში და დაგეგმილ აქტივობებში, როგორცაა ტიპები, მიზნები, წვლილის შეტანა, შედეგები, მონაწილეთა როლები და აქტივობები და მისთ.? (...)

ასახვისათვის რჩევების მიცემის მაგალითები

(ევროპული საბჭო, 2001:147)

პროგრამის მომხმარებლებს შეიძლება სურდეთ განიხილონ და სათანადო ადგილზე მოათავსონ ტექსტები (ზეპირი და წერითი) მათ სასწავლო / სწავლების პროგრამაში და აქტივობების გამოყენებაში: ანუ

- თუ რომელი პრინციპების მიხედვით არის შერჩეული ტექსტები, ადაპტირებული ან შედგენილი, შეკვეთილი და წარმოდგენილი;
- არის თუ არა ტექსტები საფეხურებად დაყოფილი;
- არიან თუ არა შემსწავლელები ა) მოსალოდნელი ბ) ეხმარებიან თუ არა მათ ტექსტების დაყოფაში ტიპების მიხედვით და გამოიყენებენ თუ არა სხვადასხვა მოსასმენი და საკითხავი სტილის ტექსტს მათი ტიპის შესაბამისად და მოუსმინენ ან წაიკითხავენ დეტალურად ან არსობრივად, კონკრეტული აზრით, და მისთ.

ამგვარადვე, სახელმძღვანელოს ნებისმიერი ახალი პროგრამა შესაძლებელია მხოლოდ აღწერითი იყოს (მა-

გრამ არა პერსპექტიული) იმით, რითაც ის ასახელებს და არჩევს მასში ჩართულ ელემენტებსა და მიმართულებებს, კავშირს ერთმანეთთან და, ამგვარად, მათ დინამიკას შინაარსთან, იმას, რაც ვიცით მათ შესახებ. საერთოდ, შეგვიძლია წარმოვადგინოთ მხოლოდ იმ ცოდნის ნაწილი, რომელიც გაგვანჩნია ზოგიერთ თემაზე და დავადგინოთ საკითხები, რომლებიც საკმარისად არ ვიცით და სადაც სამომავლოდ უფრო მეტად უნდა გავიგოთ და ჩავწვდეთ.

ამ აზრით, ახალი პროგრამის მიზანი იმდენად ზომიერი, პრაგმატული და ინსტრუმენტულია, რამდენადაც თამამი, მასტიმულირებელი და არარეალურია. ის შეესაბამება ევროპული კავშირის საყოველთაო შეხედულებას ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაზე და დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქის მონაწილეობაზე (cf. *Key Competences for Lifelong Learning. A European Reference Framework*. Brussels 2004). მრავალი ენის გამოყენებისა და მრავალენოვანი კომუნიკაციის ძირითადი შესაძლებლობები (ისევე, როგორც ცენტრალური საკომუნიკაციო უნარების გამოყენება) ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება, თუ არა გადამწყვეტი, ამ მცდელობის წარმატებისათვის – დღეს, მომდევნო წლებში და უფრო შორეულ მომავალში.

6. ენობრივი ბანათლების ინსტრუმენტის შესაბამო შინაარსი

მაშინ, როცა ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები (CEFR) ძირითადად უკავშირდება მონარდებსა და ზრდასრულებს და უცხო ენებში მათი კომპეტენციების განვითარებას, ახალი ინსტრუმენტი ძირითადად შეეხება შემსწავლელთა უფრო ფართო ჯგუფს (აღბათ, საბავშვო ბაღებიდან – უნივერსიტეტში ჩაბარებამდე). ამან შესაძლოა გამოიწვიოს დიფერენცირება ახალ დოკუმენტში სკოლის ან ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

სხვა მხრივ, ზოგიერთისათვის შესაძლებელია ახალი პროგრამის აგება უკვე არსებულ უცხო ენების პროგრამაზე. თემები და თავები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, შემდეგს:

- მოქალაქეობის, იდენტობის, სოციალური ერთიანობისა და ენობრივ განათლებაში მონაწილეობას ზოგადად და მრავალენოვან განათლებას კონკრეტულად;
- ენის დახასიათებას, როგორც პირადი განვითარების აქტივობასა და როგორც სწავლის ინსტრუმენტს - სკოლაში და მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- ენაში კომპეტენციის მოდელისა და კომპეტენციის კომპონენტების დადგენას, როგორც ფიქრისა და სწავლის აქტივობასა და ინსტრუმენტს;
- ცოდნისა სფეროებისა და პროტოტიპული სიტუაციების დადგენას, რომლებშიც გამოიყენება ენა და / ან რომელშიც მას ითხოვენ;
- ენობრივ სამეტყველო რეალიზაციაში ცოდნის დახასიათებას (ან შესაძლო ორიენტირები კომპეტენციის დონეების დასაარსებლად);
- სწავლებისა და სწავლის შესაძლო მეთოდოლოგიების განხილვას;
- შეფასების პროცედურებისა და შესაბამისი კრიტერიუმების განხილვას.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც ახალი ინსტრუმენტი ორიენტირებულია განათლების ენაზე (ენებზე) (ძირითადად LS და LAC-ზე), მას არ შეუძლია ყრუადღება მხოლოდ ენის სწავლის, ენის სწავლების და ენის შეფასების ძირითად საკითხებზე გადაიტანოს, ისე, როგორც ჩამოთვლილია ზემოთ. პირიქით, ახალი ინსტრუმენტი სავარაუდოდ მიმართავს უფრო მეტად კომპლექსურ საკითხებს, ვიდრე არსებული CEFR, კერძოდ:

- მრავლობითი იდენტობის საკითხი, რომელიც იქმნება ენის გამოყენებითა და განათლებით;
- პიროვნული გამდიდრებისა და ავტონომიური სწავლის საკითხები;

- ენობრივი განათლებით „აღზრდის Bildung³“ საკითხები;
- ენის სწავლაზე დაყრდნობით აზროვნებისა და შემეცნებითი განვითარების საკითხები;
- სხვადასხვა ლინგვისტური და კულტურული ტრადიციების ცოდნისა და აღიარების საკითხები;
- ფუნქციური ენის გამოყენებისა და/ან ინტერესების სპეციფიკური სფეროს ენის არჩევის საკითხები;
- ლიტერატურული, ესთეტიკური და შემოქმედებითი ენის გამოყენების საკითხები;
- ენობრივი სახესხვაობების (და მათი ერთმანეთის მიმართ ეკვივალენტურობის) საკითხები;
- ენისა და ენების გამოვლენის (ანუ სისტემა, როგორც გრამატიკა, როგორც ისტორიული განვითარება, როგორც მეტყველების სტრუქტურა, როგორც იარაღი კომუნიკაციისათვის ან როგორც სოციალური კაპიტალი) საკითხები;
- საკითხები ორენოვნებაზე (განვითარებული) და თუ როგორ შეუძლიათ ინდივიდებს, შემდგომში განივითარონ თავიანთი მრავალენოვანი პროფილი ორენოვნების მიღმა;
- მონაწილეობის, სოციალური ჩართულობისა და სოციალური კავშირის საკითხები;
- კულტურათმშორისი კომპეტენციის განვითარების საკითხები;
- შემსწავლელთა გარკვეული ჯგუფების შემეცნებითი, სოციალური და კულტურული ბარი-

³ ენის კურიკულუმის პოლისტიკური კონცეპტი ზრუნავს პლურილინგვალიზმის ასპექტებზე შემსწავლელებთან მიმართებაში, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება კურიკულუმის დაგეგმვას.

ერების - და ხანგრძლივად მათი წინააღმდეგობის დაძლევის საკითხები.

ეს სია არავითარ შემთხვევაში არ არის სასრული. მაგრამ ის გვიჩვენებს, თუ რა ამოცანებია გადასაჭრელი მომავალში. ახალი პროექტი, რომელიც ორიენტირებულია ენაზე, როგორც საგანი და ენის როლზე ამ საგანში, საჭიროებს აღნიშნული მრავალი საკითხის გათვალისწინებას, მაგრამ ის აგრეთვე საჭიროებს საკმაოდ სპეციფიკურად შეეხოს ლიტერატურისა და სხვა სახის ტექსტების სწავლებას. ლიტერატურის სწავლების ტრადიციები, როგორც წესი, მოიცავენ თუნდაც ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს, რომლებიც სცილდება ზემოთ მოყვანილ საკითხებს:

- საეკლესიო კანონისა და ეროვნული ლიტერატურის სწავლება;
- წარმოსახვითი და ლიტერატურული კომპეტენციების განვითარება;
- ენის გამოყენების ერთ-ერთი უმდიდრესი წყაროს – გამოცდილებით უზრუნველყოფა;
- ენის ასახვის სტიმულირება (უფრო ნაკლები გრამატიკული სისტემა, ვიდრე რიტორიკული მეთოდოლოგია და სტილისტური მექანიზმები).

LAC-ის ჩართვით დამატებითი კითხვები წამოიჭრება, მაგალითად:

- შესაძლოა ენა მართლაც განვითარდეს მხოლოდ მისი მიზნობრივი გამოყენებით?
- რა დამოკიდებულებაა გონებრივი რეპრეზენტაციებისა და არაფორმალური პროცესორების ვერბალურ და არავერბალურ ფორმებს შორის?
- როგორ უწყობს ხელს ენა და / ან სხვა სემიოტიკური სისტემების მანიპულაცია შემეცნებით განვითარებას, განსაკუთრებით საგნობრივ-სპეციფიკურ კონტექსტში?
- როგორ შეგვიძლია ჩვენ აღვწეროთ და შევაფასოთ საგნობრივ-სპეციფიკური კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება?

დასასრულ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ განათლების ენის / ენების საკითხი უნდა იყოს აგრეთვე ენის (ენების) მთლიანი სასწავლო კურსის ნაწილის ასახვა ერთ ინსტიტუტში და ინსტიტუტებს შორისაც (ან განათლების დონეებს შორის): ამის გამო, ახალი ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს აშკარა დამოკიდებულებას მეორე ან უცხო ენის სწავლებასთან იმ მიზნით, რომ შეიქმნას ენის სწავლისა და ენის “სასწავლო კურსის” ჰოლისტიკური ვერსია.

ერთ „პროგრამაში“ ყველა ამ საკითხის გაერთიანებით შეგვიძლია შევქმნათ წერა-კითხვის ცოდნის დეტალური მოდელი, რომელიც ენას სათანადოდ და კომპეტენტურად მიიჩნევს სხვადასხვა ასპექტით, საგნობრივ-სპეციფიკური სასაუბრო სტილის ჩათვლით. ასეთი დეტალური კომპეტენციის მოდელის შესაძლო კომპონენტებია:

- მოსმენილის გაგების კომპეტენცია;
- აუდიო-ვიზუალური კომპეტენცია;
- კითხვის კომპეტენცია;
- წერითი კომპეტენცია;
- მეტყველების კომპეტენცია;
- სიმბოლური დეკოდირება / კოდირების კომპეტენცია (არავერბალური სემიოტიკური სისტემის ჩათვლით);
- მედია კომპეტენცია (ენის სისტემებში და მათ შორის);
- ლიტერატურა და ესთეტიკური კომპეტენცია;
- კულტურათშორისი კომპეტენცია;
- ენის სწავლის კომპეტენცია;
- მეტალინგვისტური კომპეტენცია / ენის გაგება.

ამ საკითხების კომპლექსურობამ, რომელთაგანაც ზოგიერთი არანაირი მიმართულებით არ შესწავლილა ან გამოკვლეულა, შესაძლოა შემოქმედება მოახდინოს ახალი ინსტრუმენტის სტრუქტურის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. მაგალითად, ენის სწავლის სხვადასხვა სფეროებისათვის ზემოთ აღნიშნული კომპეტენციებისა და ცოდნის დონეების დადგენის მიზანი

(ისე, როგორც წარმოდგენილია CEFR-ში უცხო ენებისათვის) შესაძლებელია გადატანილი იყოს ან ამჟამად დროებით განვიხილოთ (შემდგომი სათანადო კვლევისა და განვითარების მოლოდინში) მაშინ, როდესაც შესაბამისი ძირითადი და გასათვალისწინებელი საკითხები ადეკვატურადაა გამოკვლეული და განხილული.

7. ენობრივი ბანათლების ინსტრუმენტის სტრუქტურა და ფუნქცია

ახალი ინსტრუმენტის სტრუქტურა და ფორმატი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს არსებული CEFR-ის შემდეგ, ან ის შეიძლება კონცენტრირებული იყოს იდენტიფიცირებაზე, დასათაურებასა და მრავალსხვა საკითხსა და ცვლადებზე, რომლებსაც მოიცავს ენის სწავლა, სწავლება და განათლება, განხილული მთლიანობაში, როგორც ეს აღნიშნული იყოს წინათავე.

ეს ბოლო პერსპექტივა, შემოკლებული თუ შემოთავაზებული ენის ცოდნის კომპეტენციებისა და დონეების ვრცელი განსაზღვრების გარეშე, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა; ის უფრო მეტად რაიმე სახელმძღვანელოს დაწერას მოითხოვდა, ვიდრე საბაზო პროგრამაა. შემდგომ ეტაპზე შესაძლებელია დაემატოს ჩართული კომპეტენციისა და მიღწეული ცოდნის დონეების ზუსტი აღწერა.

უფრო მეტიც, ალბათ ახალ დოკუმენტს ძირითადი სტრუქტურა და ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რომელიც მსგავსია არსებული პროგრამისა (CEFR), თუნდაც ისე, როგორც ის მიმდინარეობს, ეკითხება, კამათობს, აკავშირებს, ურჩევს ან „ასკვნის“. მისი ძირითადი ფუნქცია იქნება შემდეგი:

- უხელმძღვანელოს და დაეხმაროს გადაწყვეტილების მიმღებებს ასახვაში და იმ ენების აღწერის დაგეგმვაში, რომლებიც უნდა განიხილებოდეს განათლებაში;

- ამ საკითხების სხვებისადმი მკაფიოდ ჩამოყალიბება (შიდა-ეროვნულად და ტრანსნაციონალურად);
- განვსაზღვროთ პოლიტიკა, რომელიც მუშაობს და გამოვარკვიოთ, რომლებიც არ მუშაობენ ან რომლებიც გვეჩვენება, რომ შეუსაბამოა მოცემულ დასახულ მიზნებთან;
- აღვწეროთ და შევაფასოთ (თუნდაც ზოგად პირობებში) განათლების ენის (ენების) გამოვლენა, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკა მათ განსავითარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი დოკუმენტი მიზნად ისახავს დისკუსიას პროფესიონალებს / მასწავლებლებს, და გადაწყვეტილების მიმღებებს შორის (სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე), წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეამოწმონ და თავად გადაწყვიტონ, თუ რომელია ან შეიძლება იყოს ყველაზე უფრო მისაღები ენობრივი პოლიტიკა (მოცემული რესურსები, ტრადიციები და ახლო მდგომი პრობლემები) და რა საუკეთესო გზები არსებობს მათ შესაბამის სახელმწიფოებში ან რეგიონებში მრავალენოვანი ინდივიდუების განათლებისათვის - ტერმინის ფართო გაგებით, ანუ გახდეს ინტერკულტურულად კომპეტენტური ამავე დროს (იხ. ზემოთ, ნაწილი 2). ზოგიერთი საგანმანათლებლო სტრატეგია შესაძლოა მუშაობდეს სახელმწიფო დონეზე, სხვები შესაძლოა შეესაბამებოდეს მხოლოდ რეგიონულ ან ადგილობრივ რგოლს; შესაძლებელია სხვა გადაწყვეტილებები გარკვეულ საკითხებზე გარკვეული დროის განმავლობაში მოისინჯოს (ანუ შემაფასებელი კვლევის დახმარებით), სანამ მოხდება მათი ინსტიტუციონალიზაცია ან პრაქტიკულად განხორციელდება შემსწავლელთა დიდი ჯგუფისათვის. დამატებით შესაძლებელია ჩატარდეს კონსულტაციები და მოხდეს კოორდინირება წევრ სახელმწიფოებს შორის, ან თუნდაც თანამშრომლობა გაერთიანებული პროექტებით სახელმწიფოებს შორის მსგავსი პრობლემებისა და პერსპექტივების გაზიარებით.

8. პერსაქტივები

ისე, როგორც არსებული CEFR-ის შემთხვევაში, რომელსაც თითქმის 10 წელი დასჭირდა შესამუშავებლად, შესამოწმებლად და საბოლოო ვერსიის გამოსაცემად, ეს ახალი ინიციატივა უნდა შემუშავდეს თანდათანობით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებსა და შესაბამის ჯგუფებს შორის კონსენსუსისა და მკაფიო შეთანხმების საფუძველზე. ამის გამო, ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეულ ქვეყანაში და არსებულ ქსელში (რომლებიც დაჯგუფებულია არსებული CEFR-ის გარშემო), დადგინდეს გავლენიანი პიროვნებები. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია გაეცნოს შესაბამის ჯგუფებსა და მოცემულ ენებზე მოსაუბრე საზოგადოებებს, მათ ფიქრსა და კამათს და მათ შორის პოტენციურ კონფლიქტებს. და შესაძლოა აქ უნდა შეიქმნას ხალხის ახალი კავშირი, რომლებიც ამოიცნობენ ახალი ევროპის საბჭოს ინიციატივის მიზნებს და დღევანდელი იდეისგან ბევრად შორსმდევალ გეგმებს განახორციელებენ. საკითხის მოკლედ გამდოსაცემად - ასეთი მუშა ვერსია და საკითხებისა და ცვლადების ზუსტი ცოდნა (რამდენადაც ისინი ნაწილობრივ დადგენილია და დასახელებულია ამ მიმოხილვაში) მიზნად ისახავს ევროპაში მრავალენოვნებისა და ურთიერთგაგების განვითარების ზრდას.

9. რეზიუმე / ძირითადი დასკვნები

ევროპა მრავალენოვანია მისი სახელმწიფოების სიმრავლის შესაბამისად. ევროპა ცდილობს, გახდეს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ პრინციპებზე დაყრდნობით - ადამიანის უფლებები, პლურალისტური დემოკრატია, კანონი, დემოკრატიული მოქალაქეობა, საერთო იდენტობის განვითარების მიზნით მრავალენოვნების აღიარება - ევროპელებს ესაჭიროებათ ცნონ და

დააფასონ მათი ენობრივი რეპერტუარი და გააფართოვონ ის მრავალენოვანი განათლებით. მრავალენოვნება არის უნარი, გამოიყენო ენები კომუნიკაციის მიზნით და მონაწილეობა მიიღო კულტურათშორის დიალოგში, სადაც პიროვნებას, რომელიც მიჩნეულია სოციალურ აგენტად, სხვადასხვა დონეზე ფლობს რამდენიმე ენას და გამოცდილება აქვს რამდენიმე კულტურაში. მრავალენოვნება (მისი ფართო გაგებით) მოიცავს კულტურათშორის კომპეტენციას; ის აგრეთვე მოიცავს მრავალფეროვნებისა და ცოდნის აღიარებას და, აქედან გამომდინარე, სხვების პატივისცემას. ყველა ევროპელი უფლებამოსილია მაღალ დონეზე განავითაროს ეს ინტეგრირებული კომუნიკაციური უნარი რამდენიმე ენაში ცხოვრების განმავლობაში მათი მოთხოვნილებების მიხედვით. ეს გამოავლენს ფაქტს, რომ ენობრივი განათლება არის და უნდა იყოს სოციალური პოლიტიკის ნაწილი: მან უნდა უზრუნველყოს სოციალური ჩართვა, განსაკუთრებით უქონელი შემსწავლელებისა და მოქალაქეებისათვის და ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ გაერთიანებას მრავალენოვნებისა და მრავალფეროვნების კონტექსტში.

ზემოთ ხსენებული ენობრივი განათლების ახალი ინსტრუმენტი ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ პრინციპებზე და „ყველაზე საუკეთესო ვარიანტი რაც ჩვენ ვიცით“ დაყრდნობით - უნდა მიმართავდეს და უზენებდეს, თუ როგორ შეუძლიათ ზემოქმედება იქონიონ პოლიტიკოსებმა, სასკოლო და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა შემსწავლელთა სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებების დაგეგმვასა და მათ დაკმაყოფილებაზე, ანუ მათი დახმარებით მრავალენოვნად ჩამოყალიბებაზე. ამ კონტექსტში ახალმა ინსტრუმენტმა უნდა დაადგინოს და განიხილოს განათლების ენის (LE) ძირითადი მიზნის მთლიანობის არსი, კერძოდ, ინსტრუქტირების მეთოდად სხვა საგნებში (Language across the curriculum, LAC). ენის კურსის ნებისმიერი გამოვლენა, როგორც უცხო ენებისა და ორენოვანი განათლების როლი ჩართული

უნდა იყოს, როგორც ენობრივი განათლების სხვადასხვა პოლისტიკურ კონცეფციას შორის დამოკიდებულების გამოვლინება (გამიზნული მრავალენოვნების განსავეითარებლად).

უფრო ზუსტად, ახალი LE პროგრამის წიგნს (რა ფორმითაც უნდა მივიღოთ) დასჭირდება წარმოადგინოს სხვადასხვა თანდართული საკითხი (როგორც ნაწილობრივ დადგენილია ან ნაშრომში) და ჩამოაყალიბოს პოზიციები თუნდაც განხილვის შემდგომი ეტაპებისათვის: მიზნები, მისწრაფებები / შედეგები, შინაარსი / მეთოდები და შეფასება. შესაძლებელია ასე გაკეთდეს ცალ-ცალკე LE-ის სხვადასხვა კომპონენტებისათვის, კერძოდ - LS-ისთვის, LAC-ისთვის და FL-ისთვის (არსებული CEFR-ის ძირითადი ასპექტების გაერთიანებით) და მათ შორის კონტაქტების დამყარებით - ყველაფერი მრავალენოვნების განათლების კონცეფციის ქვეშ. შესაძლებელია ჩავრთოთ სპეციალური თავი ან დავვირევათ ან ეს დისკუსია შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე თავში.

მოცემულია განსხვავებები განათლების სისტემებში და წვერი სახელმწიფოების ეროვნული პოლიტიკაში ზოგადად ენობრივ განათლებასა და კერძოდ სასკოლო განათლების ენასთან (ენებთან) დაკავშირებით; ახალი ინსტრუმენტის ძირითადი მიზანია დაწესდეს კატეგორიები, კონცეპტუალიზმის საერთო საფუძველი და უნივერსალური საერთო ენა წვერ ქვეყნებს შორის და ამათგან მასწავლებლების / პროფესიონალების, მკვლევარებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა ჯგუფებს შორის ასახვის, გაცვლისა და კომუნიკაციის ენა, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე ტრანსნაციონალურ ასპექტში.